გადაწყვეტილება

N გ-20-19/712
17/09/2020

712-გ-20-1-4-202009171117

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 5 მარტის № გ-20-7/276 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიამ“ (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რ/ნის სასამართლოს მიერ 1997 წლის 10 სექტემბერს, რეგ. №5ა/4-1333; ს.კ. №211346514) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-20-7/4447, 01.09.20) ქ. თბილისში 421.475 მჰც და 427.775 მჰც (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) მინიჭებული სიხშირეების მოქმედების გეოგრაფიული ზონის გაზრდის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2020 წლის 5 მარტის № გ-20-7/276 გადაწყვეტილებით შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიას“ მიეცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № **F 2276** უფლება და მიენიჭა სიხშირეები - 421.475 მჰც და 427.775 მჰც (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. თბილისში, ერთი წლის ვადით.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და შესაძლებლად მიაჩნია შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიასთვის“ 421.475 მჰც და 427.775 მჰც (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. თბილისში მინიჭებული სიხშირეებით სარგებლობა დამატებით გავრცელდეს ქ. ბათუმში (სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სამსახურებრივი დასკვნა № 20-10-1829, 09.09.20).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2020 წლის 5 მარტის № გ-20-7/276 გადაწყვეტილებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიას“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება № F **2276** შემდეგი პირობებით: სიხშირეები - **421.475 მჰც და 427.775 მჰც** (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში, ერთი წლის ვადით - **2020 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 5 მარტამდე,** ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით;“

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიასთვის“ გაგზავნა (ნ.ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

3. დაევალოს შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიას“ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.comcom.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (ქ. სულიაშვილი) შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიასთვის“ მინიჭებული სიხშირეების კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „ინტერსექიურითი-ჯორჯიასთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ლ.ლაშქარავა) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი